ხელშეკრულება საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 25/03/17
CPV50100000 (სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული
მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთანდაკავშირებული მომსახურებები)

ქ. თბილისი

7 აპრილი 2017 წელი

ერთი მხრივ, **სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით ტორუას სახით და მეორე მხრივ, **შპს „თეგეტა მოტორსი“** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, თემურ კოხოძის სახით, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის #26 დადგენილებისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება“ – „შემსყიდველსა“ და „მიმწოდებელს“ შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური სავარაუდო ღირებულება, რომლის ფარგლებშიც „შემსყიდველმა“ უნდა განახორციელოს გადახდა „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების სანაცვლოდ.

1.3 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4 „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლისა და მომსახურების მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – სამუშაო დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.6 „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „რეგლამენტი“ – „მიმწოდებლის“ მიერ შემუშავებული სავალდებულო გასატარებელი ღონისძიებების ერთობლიობა (დანართი№1), რომელშიც მოცემულია ავტონაწილების/მომსახურების ჩამონათვალი და მომსახურების ჩატარების ვადები.

1.8 უფლებამოსილი პირი - „შემსყიდველისა“/„მიმწოდებლის“ წარმომადგენელი, რომელიც მასზე გაცემული მინდობილობის საფუძველზე ახორციელებს შესაბამის უფლება-მოვალეობებს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია ავტომობილის ((FORD Transit Custom 310S (გ/წ - 2014 WIN - WF01XXTTG1EA19502)EM-220-SC)) ნაწილებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა,

2.2. რეგლამენტირებული საქონლისა და მომსახურების დასახელება მოცემულია დანართი №1-ით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს 10 000 (ათი ათასი) ლარს.

3.2. საქონლის ერთეულისა და მომსახურების ღირებულება განსაზღვრულია „რეგლამენტით“ (დანართი N1).

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა იმ გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია „მიმწოდებელი“.

3.4. „შემსყიდველის“ მიერ საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის ადგილია შპს „თეგეტა მოტორსის“ სერვის ცენტრები დანართი N2-ის თანახმად. ასევე მომსახურების ჩატარების უზრუნველსაყოფად, "შემსყიდველს" შეუძლია გამოიძახოს მობილური სერვის ჯგუფი, საქონლისა და ტექნიკური პერსონალის კონკრეტული ავტომობილის მდებარეობის ადგილამდე ერთი მიმართულებით მგზავრობის ღირებულება 1 კმ-ზე შეადგენს 2 (ორი) ლარს. მანძილი განისაზღვრება დანართ N2-ში მითითებულ უახლოეს სერვის ცენტრსა და შესაბამისი ავტომობილის ადგილმდებარეობას შორის დისტანციით.

4. საქონლის მიწოდების პირობები და ადგილი

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდებას „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს ეტაპობრივად, საჭიროებისამებრ, საგარანტიო პირობებისა და „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში.

4.2. მიწოდების ადგილი განისაზღვრება შეთანხმებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, „შემსყიდველის“ შეტყობინებისა და ტექნიკის ადგილმდებარეობის მიხედვით.

4.3. ხელშეკრულების დადგენილი ვადის გასვლა მხარეებს არ ათავისუფლებს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილი და ვადის გასვლის მომენტისათვის შეუსრულებელი/მიმდინარე ვალდებულებების შესრულებისგან.

4.4 ავტომობილის დაზიანების შემთხვევაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ადგენენ „პირველად დეფექტურ აქტს“, რომელშიც აღინიშნება შესასრულებელი სამუშაო და გამოსაცვლელი ნაწილ(ებ)ი ფას(ებ)ის მითითებით, რის საფუძველზეც ხდება შემდგომში ტექნიკის შეკეთება და ანაზღაურება. „პირველად დეფექტურ აქტს“ ხელს აწერენ უფლებამოსილი პირები და ადასტურებენ კონკრეტული სამუშაო(ები)ს დაწყებას.

4.5 „პირველადი დეფექტური აქტის“ გაფორმებისა და სამუშაოების ჩატარების შემდეგ ფორმდება ხელშეკრულების 5.4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია. იმ შემთხვევაში, თუ, დაზიანების სირთულიდან გამომდინარე, ადგილზე ვერ ხერდება მისი სრული დიაგნოსტიკა ან/და აღმოფხვრა და აუცილებელია დამატებითი სამუშაოების ჩატარება, ამ შემთხვევაში ავტომობილის ევაკუაციის ხარჯი „მიმწოდებლის“ უახლოეს სერვის-ცენტრამდე, ეკისრება „შემსყიდველს“.

4.6. „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს „შემსყიდველი“ ევაკუატორის მომსახურებით, შეტყობინების საფუძველზე საქართველოს მასშტაბით 24 საათის განმავლობაში, ყოველდღიურ რეჟიმში.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის ხორციელდება „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ უფლებამოსილი პირების მიერ.

5.2. გამოძახების შემთხვევაში ფორმდება „გასვლითი მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი“, რომელსაც ხელს აწერენ „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ უფლებამოსილი პირები.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

5.3. „გასვლითი მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის“ საფუძველზე ფორმდება საქონლის დასახელების, რაოდენობისა და ღირებულების მითითებით შედგენილი „საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი“, რომელსაც ხელს აწერენ „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

5.4. „მიწოდებული“ საქონლის ფაქტიური რაოდენობა და შესაბამისად გაწეული მომსახურება დასტურდება უფლებამოსილ პირებს შორის სათანადოდ გაფორმებული „საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ით,“ ანგარიშფაქტურითა და ზედდებულით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1 "მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმითა და ხელშეკრულებაში მითითებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

6.2 "შემსყიდველი“ ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 5.4 მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი "საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის“ და ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან **10 (ათი) სამუშაო დღის** განმავლობაში.

7. ხელშეკრულების ფასის ცვლილება

7.1 ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული საქონლის ფასების შეცვლა შესაძლებელია ეროვნული ვალუტის (ლარის) აშშ დოლართან მიმართებაში ეროვნული ბანკის დაფიქსირებული გაცვლითი კურსის (ხელშეკრულების გაფორმების დღის მდგომარეობით) 10 (ათი) ან მეტი პროცენტით ზრდის/კლების დროს. ასეთ შემთხვევაში მოხდება საქონლის ფასების შესაბამისი პროცენტით ზრდა/კლება. (აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით ხელშეკრულების შეთანხმების სახით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი იქნება). ამ მუხლით გათვალისწინებული ფასთა ცვლილებას არ უნდა მოჰყვეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობები

8.1 „მიმწოდებელი“ ვალდებულია, მიაწოდოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული საქონელი ან/და მასთან დაკავშირებული მომსახურება ხელშეკრულების პირობებისა და მე-10 მუხლით განსაზღვრული ვადების დაცვით.

8.2 „შემსყიდველი“ ვალდებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის საფუძველზე.

8.3 „შემსყიდველი“ უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო „მიმწოდებელი“ ვალდებულია „მიწოდებული“ საქონლისა და გაწეული მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების, ხარისხის, საგარანტიო პირობების მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამოვლენის, საქარხნო დეფექტისა და ხარვეზის შესახებ შეტყობინების მიღებიდან ამ ხელშეკრულების მე-10 მუხლით დადგენილ ვადებში უსასყიდლოდ განახორციელოს მიწოდებული საქონლის ტექნიკური სპეციფიკაციებით მოთხოვნილით შეცვლა, უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება.

8.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია, იქონიოს რეგლამენტით განსაზღვრული საქონლის მარაგი საწყობში; დროულად მიაწოდოს აღნიშნული საქონელი და მომსახურება დამკვეთს ავტომობილის გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად; ამასთან, უზრუნველყოს „შემსყიდველისთვის“ საჭირო მარაგნაწილების მიწოდება საგარანტიო ვადის მთელ პერიოდში (ქარხანა-დამამზადებლის მიზეზით მწყობრიდან გამოსული დეტალები ანაზღაურდება უფასოდ).

8.5 „შემსყიდველი“ ვალდებულია, ავტომობილზე რეგლამენტით განსაზღვრული სავალდებულო ტექმომსახურების ვადის დადგომამდე არაუგვიანეს 2 (ორი) დღით ადრე გაუგზავნოს შეტყობინება (10.1 პუნქტით განსაზღვრული წესით) შეთანხმებული ფორმით მიმწოდებელს, სადაც აღნიშნული იქნება ავტომობილის ვინ კოდი, სახელმწიფო ნომერი, გარბენი და მომსახურების ჩატარების ადგილი.

8.6 საგარანტიო პირობების და სავალდებულო პერიოდული ტექმომსახურების ვადების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია, ვადაზე ადრე შეწყვიტოს კონკრეტულ ავტომობილზე გარანტიის მოქმედება.

8.7 „შემსყიდველი“ ვალდებულია აღრიცხოს და აკონტროლოს ყოველი კონკრეტული ავტომობილის გარბენი, დაიცვას რეგლამენტის მოთხოვნები და დროულად აცნობოს „მიმწოდებელს“ მისაწოდებელი საქონლის გასაწევი მომსახურების ადგილის შესახებ. შეტყობინება უნდა მოხდეს დოკუმენტალურად, მხარეებს შორის შეთანხმებული ფორმის საფუძველზე.

8.8 „შემსყიდველს“ უფლება აქვს წინასწარი შეტყობინების საფუძველზე, ნებისმიერ დროს, დასაბუთების გარეშე, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება. ეს შეტყობინება უნდა გაკეთდეს არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტამდე.

9. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

9.1 მიწოდებული საქონლისა და მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

9.2 „მიმწოდებლის“ მიერ ყველა შესყიდულ ან/და შეკეთებულ ნაწილზე ვრცელდება გარანტია 1 (ერთი) წელი.

10. მომსახურების განხორციელების წესი და ვადები

10.1 „მიმწოდებლის“ მიერ მომსახურება ხორციელდება „შემსყიდველის“ შეტყობინების საფუძველზე, რომელიც უნდა გაიგზავნოს შემდეგ ელ.მისამართებზე: t.darispanashvili@tegetamotors.ge; m.vashakidze@tegetamotors.ge; l.gagnidze@tegetamotors.ge;
შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია ყოველი ერთეულისთვის: ავტომობილის ვინ ნომერი, სახელმწიფო ნომერი, გარბენი, ავტომობილის ზუსტი ადგილმდებარეობა, დაზიანების სახე ან/და რეგლამენტით გათვალისწინებული ჩასატარებელი სამუშაო(ებ)ის დასახელება, შესაბამის ავტომობილზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის სახელი, გვარი და მობ. ტელეფონის ნომერი.

10.2 შეტყობინების მიღების თარიღად მიიჩნევა ელ.შეტყობინების მიღების დღე, თუ ის მიღებულია 16:00 საათამდე, ხოლო ამაზე გვიან მიღებული შეტყობინებების მიღების თარიღად განისაზღვრება მომდევნო დღე.

10.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია, უზრუნველყოს მისი სერვის-ჯგუფის შეტყობინებაში მითითებულ ადგილას გამოცხადება შეტყობინების მიღებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში და/ან რეგიონალურ სერვის ცენტრში გაუწიოს მომსახურება შეტყობინების მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღეში.

10.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულების 4.5 პუნქტით გათვალისწინებული „დეფექტური აქტი“ შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში. თუ დიაგნოსტიკის შედეგად დადგინდება, რომ შემთხვევის სირთულიდან გამომდინარე, ვერ ხერხდება ტექნიკური მომსახურების გაწევა ადგილზე და სრული დიაგნოსტიკისა და მომსახურებისთვის ავტომობილი საჭიროებს „მიმწოდებელის“ ცენტრალურ სერვის-ცენტრში გადაყვანას, „დეფექტური აქტის“ შედგენის 5 (ხუთი) დღიანი ვადა აითვლება არა შეტყობინების მიღებიდან, არამედ შესაბამისი ტექნიკის მიმწოდებლის სერვისში ევაკუაციის დღიდან.

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

10.5 სარეგლამენტო სამუშაოების ჩატარების ვადა განისაზღვრება 2 (ორი) სამუშაო დღით, სავალი ნაწილის შეკეთების ვადა განისაზღვრება 1-დან 10 (ათი) სამუშაო დღემდე ვადით (დეტალის შეკვეთის საჭიროების შემთხვევაში). აგრეგატების შეკეთების/შეცვლის ვადა განისაზღვრება 1-დან 15-მდე სამუშაო დღით. სამღებრო/სათუნუქე სამუშაოების შესრულების ვადა განისაზღვრება 3-დან 15 სამუშაო დღემდე ვადით.

10.6 თუ, დაზიანების/დაზიანებული ნაწილის განსაკუთრებით რთული ხასიათის გამო, აღნიშნულ ვადაში ვერ ხერხდება „მიმწოდებლის" მიერ მომსახურების გაწევა, მხარეები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამატებით თანხმდებიან გონივრულ ვადაზე (მაგრამ არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა). თუ დეფექტური აქტის შედგენიდან გასულია 30 (ოცდაათი) სამუშაო დღე, ამ პუნქტით გათვალისწინებული დამატებითი ვადა არ შეიძლება იქნას გამოყენებული. ამასთან, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სპეციფიკის და მაღალი საზოგადოებრივი საჭიროების გათვალისწინებით, „მიმწოდებელმა" ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა მინიმალურ ვადაში უზრუნველყოს საქონლის (სერვისის) მიწოდება და მიანიჭოს პრიორიტეტი ყველა სხვა მიმდინარე სამუშაოსთან მიმართებაში.

11. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

11.1 „შემსყიდველი" უფლებამოსილია, განახორციელოს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების და თანდართული დოკუმენტებით დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლი. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის" ლოგისტიკის დეპარტამენტის თანამშრომლები.

11.2 „მიმწოდებელი" უფლებამოსილია, განახორციელოს „შემსყიდველის" მიერ, „საგარანტიო ვადებისა და პირობების შესახებ ინსტრუქციის" და „რეგლამენტის" მოთხოვნათა შესრულების კონტროლი შერჩევითი შემოწმების გზით. ინსპექტირებისას გამოვლენილ ნაკლოვანებებზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ფორმდება „ინსპექტირების აქტი", რომელსაც ხელს აწერს ორივე მხარე.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მხარეებს არ აქვთ უფლება, ერთმანეთის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცენ მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13. დაუძლეველი ძალა (ფორსმაჟორი)

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს-მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „დაუძლეველი ძალა" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული „შემსყიდველისა" ან/და „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

14. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, „შემსყიდველს" უფლება აქვს მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

14.3. „შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულების 6.2. მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში „შემსყიდველს" დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0.2%-ის ოდენობით.

14.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

15.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

15.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების შეთანხმების სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

15.3. თუ, წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების დამდებმა მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი მოლაპარაკების გზითა და შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

16.2. თუ „შემსყიდველი" და „მიმწოდებელი" ვერ შესძლებენ სადავო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

„შემსყიდველი"

„მიმწოდებელი"
---

17. სხვა პირობები

17.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილისა ან ელექტრონული წერილის სახით. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დადგება.

17.2 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17.3 წინამდებარე დანართები (დანართი N1, დანართი N2) თან ერთვის ხელშეკრულებასა და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

17.4 ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებელთან.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2017 წლის 7 აპრილიდან და მოქმედებს 2018 წლის 28 თებერვლის ჩათვლით.

ხელშეკრულების საგნის მიწოდების საწყის თარიღად განისაზღვროს 2017 წლის 7 აპრილი, მიწოდების ბოლო ვადად - 2017 წლის 31 დეკემბერი.

19. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“
სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“
იურ.მის:ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 144
ფაქტ. მის: თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 117
ს/კ 205307960
ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი - TRESGE22
შიდა ანგარიში - 200122900
სახაზინო კოდი/დასახელება - 3503030702

დირექტორი:
დავით ტორუა ----------

"მიმწოდებელი"
შპს "თეგეტა მოტორსი"
მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი,
მე-12 კმ. #5
ს/კ 202177205
მომსახურე ბანკი: სს. „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE80TB0600000024467853

გენერალური დირექტორი:
თემურ კოხოძე ----------

ვიზირებულია:

ა. შეყილაძე

გ. ტარუღიშვილი

გ. თოფურია

გ. აბულაძე

ვ. ჭანიშვილი

შემსრულებელი: ლ.თავაძე

ხელშეკრულება საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 25/03/17-ის დანართი N1 (რეგლამენტი)

FORD Transit Custom 310S (გ/წ - 2014 WIN - WF01XXTTG1EA19502)EM-220-SC				
N	ნაწილის/მომსახურების დასახელება	განზომილება	სათადარიგო ნაწილების ერთეულის ფასი	მომსახურების ფასი
1	ამორტიზატორი უკანა	ცალი	160	24
2	ამორტიზატორი წინა	ცალი	180	36
3	ამორტიზატორის ბალიში წინა	ცალი	80	40
4	ამორტიზატორის მტვერდამცავი	ცალი	12	40
5	ამორტიზატორის საკისარი	ცალი	32	40
6	ბურთულა თითი	ცალი	55	24
7	გადაბმულობის მთავარი ავზი	ცალი	235	60
8	გადაცემათა კოლოფის ბალიში	ცალი	165	40
9	დაკიდების ბერკეტი ქვედა მარჯვ	ცალი	175	40
10	დაკიდების ბერკეტი ქვედა მარცხ	ცალი	260	40
11	დაკიდების ბერკეტის მილისა წინა	ცალი	13	40
12	დამრტყმელის სამტვერე (უდარნის)	ცალი	5	15
13	დამწოლი დისკი უკანა	კომპლექტი	220	35
14	დამწოლი დისკი წინა	კომპლექტი	195	35
15	ზამბარა წინა	ცალი	160	40
16	მორგვის საკისარი კომპლექტი უკანა	კომპლექტი	745	55
17	მორგვის საკისარი კომპლექტი წინა	კომპლექტი	700	55
18	მუხლა ლილვის სენსორი	ცალი	80	50
19	ნახევარღერძის ჩობალი	ცალი	70	55
20	რესორი უკანა	ცალი	750	50
21	საჭის გამაძლიერებლის სარქველი	ცალი	65	75
22	საჭის გამაძლიერებლის ტუმბო	ცალი	800	80
23	საჭის მექანიზმი	ცალი	2455	80
24	საჭის მექანიზმის შლანგი	ცალი	250	15
25	საჭის მექანიზმის მილი	ცალი	195	15
26	საჭის ღერძი	ცალი	1700	50
27	სტაბილიზატორი	ცალი	450	25
28	სტაბილიზატორის კრონშტეინი წინა	ცალი	39	10
29	სტაბილიზატორის მილისა წინა	ცალი	22	10
30	უკანა ბალკის რეზინი (ლიმონჩიკი)	ცალი	80	30
31	ყუმბარა გარეთა მარცხენა	ცალი	1400	90
32	ყუმბარა გარეთა მარჯვენა	ცალი	1400	90
33	ყუმბარა კომპლექტში მარცხენა	კომპლექტი	2300	90
34	ყუმბარა კომპლექტში მარჯვენა	კომპლექტი	2300	90
35	ყუმბარა შიდა მარცხენა	ცალი	1000	90
36	ყუმბარა შიდა მარჯვენა	ცალი	1000	90
37	წევის დაბოლოება	ცალი	42	15
38	წევა შიგნითა	ცალი	80	20

ძრავი

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

1	გენერატორის ღვედი (დინამოს)	ცალი	39	40
2	გენერატორის შკივი (დინამოს)	ცალი	110	120
3	გენერატორის რელე	ცალი	188	160
4	ინტერქულერის რადიატორი	ცალი	495	80
5	ინტერქულერის შლანგი	ცალი	163	35
6	კონდიციონერის კომპრესორის ზეთი 1გრ	გრამი	0.5	25
7	მუხლა ლილვის შკივი (კალენვალის)	ცალი	390	180
8	ტურბინის მილი	ცალი	180	35
9	ღვედის დამჭიმის საკისარი	ცალი	190	45
10	ღვედის დამჭიმი	ცალი	148	40
11	ღვედი 4PK920 ჰიდრავლიკის	ცალი	12	40
12	სტარტერის ბენდექსი	ცალი	105	64
13	კარტერის საცობი	ცალი	8	15
14	ძრავის სარქველი	ცალი	30	1300
15	ძრავის ჩობალი წინა	ცალი	43	280
16	ძრავის ჩობალი უკანა	ცალი	75	300
17	ძრავის ხუფი წინა	ცალი	66	200
18	ძრავის ჯაჭვი	ცალი	175	270
19	ძრავის ჯაჭვის დამაწყნარებელი TRANSIT V-3	ცალი	63	
20	ძრავის ჯაჭვის დამაწყნარებელი TRANSIT 200	ცალი	26	
21	ძრავის ჯაჭვის დამჭიმი	ცალი	110	
22	წყლის რადიატორი	ცალი	410	180
23	წყლის ტემპერატურის სენსორი კომპლექტი	კომპლექტი	120	45
24	სპირალი	ცალი	40	30
25	ტურბო	ცალი	2700	270
26	ტურბოკომპრესორის სენსორი	ცალი	95	40
27	თერმოსტატი	ცალი	50	50
28	საწვავის ტუმბო	ცალი	4200	180
29	ზეთის ტუმბო	ცალი	320	750
30	წყლის გამაგრილებელი ვინტილიატორი	ცალი	750	180
31	გათბობის ვინტილიატორი	ცალი	900	250
32	შემფრქვევი (ფარსუნკა)	ცალი	900	50
33	წყლის რადიატორის ხუფი	ცალი	23	2
34	ძრავის ქვედა ბალიში	ცალი	170	50
35	გენერატორი	ცალი	880	100
	გადაცემათა კოლოფი			
1	გადაბმულობა კომპლექტში	კომპლექტი	540	300
2	გადაბმულობის საკისარი (ვიჟიმნოი)	ცალი	310	
3	მქნევარა	ცალი	975	
4	გადაცემათა კოლოფის ჩობალი CUSTOM	ცალი	105	50
5	გადაბ.საკისრის ჩიბუხი	ცალი	45	300
	ელქტროობა			
1	წინა მაშუქი	ცალი	400	40
2	ნათურა ახლო ხედვის H7 12V	ცალი	15	5
3	ნათურა მოხვევის მაჩვენებლის	ცალი	3	5
4	სალონის მაჩვენებლის დაფა	კომპლექტი	950	55
5	დამქოქი მექანიზმი (სტარტერი)	კომპლექტი	425	45
6	შუშის ამწევი მექანიზმის დაფა	კომპლექტი	1150	30

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

7	შუშის საწმენდი წყლის ავზის ძრავი	კომპლექტი	95	30
8	ნათურა გაბარიტის	ცალი	3	5
9	ნათურა სანომრე	ცალი	3	5
10	ნათურა ფარის H4 12V	ცალი	18	5
11	ნათურა ფარის H3 12V	ცალი	10	5
12	ნათურა H15 12V15/55 OSRAM	ცალი	80	5
13	ნათურა სტოპის 12V/1კ	ცალი	3	5
14	ნათურა სტოპის 12V/2კ	ცალი	3	5
15	ხმოვანი საყვირი	ცალი	70	35
16	ციმციმები გვერდითა	ცალი	90	40
17	ციმციმები სახურავის	ცალი	1125	45
	მუხრუჭები			
1	წინა ხუნდები	კომპლექტი	140	18
2	უკანა ხუნდები	კომპლექტი	105	18
3	სუპორტის კრონშტეინი წინა	კომპლექტი	480	10
4	სუპორტის კრონშტეინი უკანა	კომპლექტი	340	10
5	სუპორტი უკანა	კომპლექტი	680	15
6	სუპორტი წინა	კომპლექტი	450	15
7	მუხრუჭის ვაკუმი	ცალი	900	60
8	ABS -ის ელექტრონული მართვის ბლოკი	ცალი	5900	420
9	მუხრუჭის მთავარი ცილინდრი	ცალი	350	70
10	სამუხრუჭე ხუნდის სენსორი უკანა	ცალი	39	10
11	ABS -ის სენსორი წინა	ცალი	95	25
12	ABS -ის სენსორი უკანა	ცალი	98	25
13	ხელის მუხრუჭის ბაგირი	ცალი	94	30
14	ხელის მუხრუჭის ბაგირი უკანა მარჯ	ცალი	150	30
	საპოხი მასალა			
1	ძრავის ზეთი 1 ლ. 5W30	ლიტრი	19	0
2	ძრავის ზეთი 1 ლ. 5W40	ლიტრი	16	0
3	ანტიფრიზი 1 ლიტრი	ლიტრი	11	29
4	სამუხრუჭე სითხე ლ.	ლიტრი	12	29
5	საჭის ჰიდრავლიკური სისტემის ზეთი ლ.	ლიტრი	20	30
6	საქარე მინის ყინვაგამძლე სითხე ლ.	ლიტრი	8	2
7	გადაცემათა კოლოფის ზეთი	ლიტრი	20	15
8	გამოხდილი წყალი ლ	ლიტრი	1	5
	ფილტრები			
1	ზეთის ფილტრი	ცალი	22	0
2	ჰაერის ფილტრი	ცალი	21	10
3	საწვავის ფილტრი	ცალი	48	20
4	კონდენციონერის ფილტრი	ცალი	35	20
	ძარა			
1	საბარგულის საკეტი	კომპლექტი	390	35
2	კარის საკეტი	კომპლექტი	445	85
3	საქარე მინის საწმენდი ჩოთქი (კომპ)	კომპლექტი	85	0
	ძრავის ნაწილები			
1	კალენვალი	ცალი	1100	1300
2	სადები საბარბაცე	კომპლექტი	50	1300
3	სადები ძირითადი	კომპლექტი	80	1300

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

4	დგუში	ცალი	250	1300
5	დგუშის რგოლი	კომპლექტი	115	1300
6	ბარბაცა	ცალი	350	1300
7	ბლოკი	ცალი	4000	1300
8	ძრავი კომპლ	კომპლექტი	11500	1300
9	სარქველი შემშვები	ცალი	30	1300
10	სარქველი გამშვები	ცალი	30	1300
11	სარქვლის ჩობალი	ცალი	4	1300
12	გამანაწილებელი ლილვი შემშვები	ცალი	700	1300
13	გამანაწილებელი ლილვი გამშვები	ცალი	700	1300
14	ძრავის თავაკი კომპლ	კომპლექტი	3200	650
15	კარტერი	ცალი	300	1000
16	ჰაერის სისტემის ბოლით შემოწმება	ცალი		40
17	ინტერქულერის შლანგის გადამყვანის გაჩარხვ	ცალი		20
18	კომპიუტერული დიაგნოსტიკა	ცალი		40
19	ზეთის ფილტრის სადგარი კრონშტეინის მოხსნა	ცალი		10
20	გვერდითა ციმციმების ელ. სისტემის შეკეთება სადენის აღდგენა	ცალი		50
21	ყუმბარის მტვერდამცავი უნივერსალი	ცალი	24	40
22	საპოხი 0.4 კგ	ცალი	8.16	
23	წინა თვლების შეყრის კორექტირება	ცალი		40
24	საწვავის ავზის მ/დ გამორეცხვა	ცალი		127.5
25	გამფრქვევი	ცალი	689	42.5
26	მფრქვევანას სტენდზე შემოწმება	ცალი		28.05
27	საჭის ჰიდროგამაძლიერებლის ღვედი	ცალი	19	10
28	საჭის მექანიზმის აღდგენა	ცალი		320
29	სიჩქარის გადამრთველი ბაგირი	ცალი	400	100
30	საწვის ტუმბოდან ცველების ბუდეზე მიმავალი ელ.სისტემის აღდგენა	ცალი		30
31	საჭის მექანიზმის ღერძის მ/დ საკისარის შეპოხვა	ცალი		80
32	გასაღების ბუდის მ/დ	ცალი		25.5
33	გადაცემათა კოლოფის მ/დ	ცალი		300
34	გადაცემათა კოლოფის დ/ა	ცალი		300
35	ყუმბარის ჩობალი	ცალი	70	
36	დიფერენციალის საკისარი	ცალი	195	
37	დიფერენციალი	ცალი	1295	
38	გერმეტიკი Dirko	ცალი	13.1	
39	ძრავში ჩატეხილი ამყოლი გორგოლაჭის სარჭის ამოღება	ცალი		150
40	ხამუთი ფოლადის 80X100-12 MM EUROGESTE	ცალი	4.3	
41	ხამუთი ფოლადის 25x40	ცალი	1.75	
42	პლასტმასის ხამუთი (შავი) 4,8x360	ცალი	0.21	
43	ამძრავის დ/ა	ცალი		50
44	ელ მცველების დაფის მ/დ შემოწმება	ცალი		70
45	ელ გაყვანილობის მ/დ შემოწმება	ცალი		50
46	უკ მჯ abs ის კბილანის მ/დ	ცალი		30
47	უკ მჯ abs ის სენსორის მ/დ 2040	ცალი		25
48	სტარტერის ჩამრთველი რელე CUSTOM	ცალი	68	
49	მორგის საკისარი წინა TRANSIT V 347	ცალი	24.5	
50	გერმეტიკი DIRKO ნაცრისფერი	ცალი	12.2	
51	ფრეონი R134A	ცალი	15	

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

52	ფრეონის გაჟონვის შესამ.საღებავი	ცალი	20	
53	ზეთის რადიატორი FORD TRANZIT	ცალი	550	
54	შუასადები(ზეთის რადიატორის V-347)	ცალი	50	
55	ელ მცველების შემოწმება	ცალი		15
56	საყრდენი დისკოს მოხეხვა წინ	ცალი		25
57	შემშვები კოლექტორის მ/დ	ცალი		50
58	დროსელის მ/დ	ცალი		30
59	ძრავის სადენების აღდგენა	ცალი		120
60	კოლექტორი ford custom	ცალი	1250	
61	კოლექტორის მილი custom	ცალი	90	
62	უკანა სალონის ღუმელის ელ სისტემის შეკეთე	ცალი		150
63	ამძრავის სადენის შემოწმება აღდგენა	ცალი		20
64	საბურავის დ/ა ბალანსირება	ცალი		9
65	საბურავის შეკეთება	ცალი		10
66	გერმეტიკი DIRKO Profipress შავი	ცალი	43	
67	პირველადი ლილვის ჩობალი FORD CUSTOM	ცალი	37	
68	გად.კოლოფის საკისარი FORD CUSTOM	ცალი	144	
69	ფილტრის სამ. კორპუსის შედუღება არგონით	ცალი		145
70	საბურავის საკერებელი ლატკა	ცალი	1.4	
71	საბურავის მ/დ	ცალი		2
72	წინა ხიდის ნახევარღერძის საკისარი	ცალი	25	70
73	ტურბინის რეგულატორი	ცალი	750	42.5
74	დაკიდების ბერკეტის მილისა უკანა	ცალი	12.2	40
75	გადაბმულობის დაჰაერება	ცალი		50
76	რესორის შედუღება	ცალი		65
77	საჭის ჰიდროკამაძიერებლის მილის შედუღება	ცალი		20
78	ანთების გასაღების სამაგრი	ცალი	110	25.5
79	მფრქვევანას შემოწმება	ცალი		17

„შემსყიდველი“

„მიმწოდებელი“

ხელშეკრულება საქონლისა და მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 25/03/17-ის დანართი N2

შპს "თეგეტა მოტორსი"-ს სერვისცენტრები

1	ცენტრალური ფილიალი	ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივ.მე-12კმ #5	სრული სერვისი	(+995 595) 30 08 13 (+995 595) 33 62 02	ნიკა მაღრაძე დავით სუთიაშვილი	N.Maghradze@tegetamotors.ge
2	პეპელას ფილიალი	ქ.თბილისი, კახეთის გზატკ. #63	სრული სერვისი, გარდა: სამღებრო სათუნუქე, აგრეგატების რემონტი, საწვავის სისტემის რემონტი, ელექტროობის რემონტი.	(+995 595) 00 44 43;	კახა მშვილდაძე	ka.mshvildadze@tegetamotors.ge
3	ფოთის ფილიალი	ქ.ფოთი, ლარნაკას #2	სრული სერვისი, გარდა: აგრეგატების რთული რემონტი, საწვავის სისტემის რემონტი, მართვის ბლოკების შეცვლა/პროგრამირება.	(+995 591) 05 05 67	ნიკა ტაბაღუა	n.tabaghua@tegetamotors.ge
4	ქუთაისის ფილიალი	ქ.ქუთაისი, ნიკეას მე–9 ჩიხი #2ა	სრული სერვისი, გარდა: აგრეგატების რთული რემონტი, საწვავის სისტემის რემონტი, მართვის ბლოკების შეცვლა/პროგრამირება.	(+995 595) 33 65 51	გიგა კბილაშვილი	g.kbilashvili@tegetamotors.ge
5	ბათუმის ფილიალი	ქ.ბათუმი, აეროპორტის გზატ. 174–ის მოპირდ. (ეს მისამართი იცვლება, ახალი დიდი ფილიალი იხსნება ამ დღეებში)	სრული სერვისი, გარდა: აგრეგატების რემონტი, საწვავის სისტემის რემონტი, მართვის ბლოკების შეცვლა/პროგრამირება, მობილური ჯგუფი	(+995 599) 09 30 38	დურუ დიასამიძე	d.diasamidze@tegetamotors.ge
6	თელავის ფილიალი	ქ.თელავი, აღმაშენებლის 62ა	სრული სერვისი, გარდა: სამღებრო სათუნუქე, ელექტროობა, აგრეგატების რემონტი, საწვავის სისტემის რემონტი, მობილური ჯგუფი	(+995 599) 89 89 12	გოდერძი ცხვედენაშვილი	G.Tskhvedenashvili@tegetamotors.ge
7	ახალციხის ფილიალი	ქ.ახალციხე. თამარაშვილის ქ. 67	სრული სერვისი, გარდა: ელექტროობა, აგრეგატების რემონტი, საწვავის სისტემის რემონტი, მობილური ჯგუფი	(+995 595) 16 08 08	შოთა მარტინენკო	sh.martinenko@tegetamotors.ge
8	გორის ფილიალი	ქ. გორი, შინდისის გზატკეცილი #2	სრული სერვისი, გარდა: სამღებრო სათუნუქე, ელექტროობა, აგრეგატების რემონტი, საწვავის სისტემის რემონტი, სავალი ნაწილის რემონტი, მობილური ჯგუფი	(+995 599) 09 30 35	ლადო ტატიშვილი	v.tatishvili@tegetamotors.ge

* სამღებრო/სათუნუქე სამუშაოების საჭიროებისას, შესაძლოა დაზიანების მაღალი სირთულის შემთხვევაში საჭირო გახდეს ავტომანქანის თბილისში გადმოყვანა.

შპს "თეგეტა მოტორსი"
გენერალური დირექტორი
თემურ კოხოძე